გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 65

2025 წლის 13 მაისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში, რომლის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2024 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

N 37

22 აპრილი, 2025 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი წერილის (N 21-21251042, 14.04.2025) პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2024 წლის 1 აპრილიდან 2025 წლის 1 აპრილამდე განვლილი პერიოდის მუშაობის ანგარიშს.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"-ს დირექტორი: მ. გიუნაშვილი

საქართველო
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს
მუშაობის ანგარიში 2024 წლის 1 აპრილიდან 2025 წლის 1 აპრილამდე

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, საანგარიშგებო პერიოდში, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, აგრძელებდა მუშაობას საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის N 529 და 2024 წლის 30 დეკემბრის N 474 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით.

ინფექციურ და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სულ სასწრაფო შეტყობინება შემოსულია 3045 შემთხვევაზე. აქედან, ინფექციურ დაავადებებზე - 1423, ეპიდკვლევა ჩატარდა 228 შემთხვევაზე (მ.შ ეშერიხიოზი - 6 , ბრუცელოზი - 7, ბორელიოზი - 9, ორსულთა სიფილისი - 5, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება - 1, ჰანტავირუსული ინფექცია - 1, ლეპტოსპიროზი - 11, სალმონელოზი - 17 (ერთი გარდაცვალება), მწვავე B ჰეპატიტი - 12, პოქსვირუსი - 1, ნოზოკომიური (საავადმყოფოს შიდა) ინფექციები - 72. საანგარიშო პერიოდში მართვადი ინფექციებიდან ყივანახველას 48, წითელას 2 და ყბაყურას 5 შემთხვევა დაფიქსირდა (უმეტესობა იყო აუცრელი ან აცრის სტატუსი უცნობი იყო). კვლავ მომატებული იყო ჩუტყვავილას შემთხვევები ორგანიზებულ ბავშვთა დაწესებულებებში (273 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდში ტუბ კაბინეტიდან შემოსულია სასწრაფო შეტყობინება 30 შემთხვევაზე, აქედან „მგბ + "იყო 14, „მგბ -" 13, ფილტვგარეშე ტუბერკულოზი 3. ყველა მათგანზე დროულად ჩატარდა ეპიდკვლევა, მოძიებული იქნა სულ 131 კონტაქტი, მოხდა მათი რეფერალი ტუბ კაბინეტში აქტიურ/ლატენტურ ტუბერკულოზზე კვლევისთვის. კონტაქტების მოძიებისას დაფიქსირდა ტუბერკულოზის ერთი შემთხვევა - დაუდგინდა 7 წლის ბავშვს (მამიდან შვილზე); სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული 1 ტუბ პაციენტის და 1 მეთვალყურეობიდან დაკარგული ტუბ პაციენტის ჩართვა მოხდა მკურნალობაში.

საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 1622 შემთხვევა დაფიქსირდა (მ.შ პატრონიანით - 1044, მოხეტიალე ცხოველით 578, აქედან ძაღლი პატრონიანი იყო 700, მოხეტიალე (მაწანწალა) - 392). სრული კურსი დაენიშნა 618 პირს, პირობითი - 1004-ს. ანტირაბიულ კაბინეტებს სულ გადაეცათ 5011 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 75 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 აგვისტოს N 356 დადგენილების თანახმად C ჰეპატიტის ელიმინაციასთან დაკავშირებით პირველადი ჯანდაცვის ექიმებთან

ერთობლივად ვახორციელებდით ინტეგრირებულ სკრინინგს C ჰეპატიტზე, აივ ინფექცია/შიდსსა და ტუბერკულოზზე. სკრინინგით დადებითი შედეგის მქონე პირების რეფერალი ხდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით. სულ საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 7137 , პირს, დადებითი იყო 60 (ახალი შემთხვევა), რომლებიც შემდგომი კონფირმაციული კვლევებისათვის გადამისამართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა C ჰეპატიტზე სკრინინგით და/ან კონფირმაციით დადებითი პირების მიდევნება. კარდაკარ შემოვლით მოვიძიეთ პირები, რომელთაც (სწრაფი/მარტივი ტესტით) გამოუვლინდათ C ჰეპატიტზე დადებითი შედეგი და სკრინინგიდან 3 თვის განმავლობაში არ ჩაუტარებიათ აქტიური ინფექციის კვლევა (C ჰეპატიტის რნმ-ის ან „core" ანტიგენის განსაზღვრა სისხლში) ან და კონფირმაციით არიან დადებითები და არ არიან მკურნალობაში ჩართულები. 2024 წელს მოვიძიეთ 126 პირი, რომელთაგან ნაწილი მკურნალობაშიც ჩაერთო, ხოლო მიმდინარე წელს მოძიებული იქნა 40 პირი, რომელთაგან 36 მიეწოდა ინფორმაცია თავისი სტატუსის შესახებ.

647 შემთხვევაში ჩატარდა სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 15-49 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალის ერთი (ღვიძლის და თირკმლის მწვავე უკმარისობა, ღვიძლის ტრანსპლანტაცია) გარდაცვალების შემთხვევა.

59 მონიტორინგი ჩატარდა სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე პირველად ჯანდაცვაში.

პარაზიტოლოგიურ კაბინეტში 2024 წლის წლის 1 აპრილიდან 2025 წლის 1 აპრილამდე საანალიზოდ შემოსულია სულ 2251 ნიმუში. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 732 შემთხვევაში, ასკაროდოზი - 261, შერეული ინვაზია (ენტერობიოზი-ასკარიდოზი) - 78, ტრიხოცეფალოზი - 2 და ანალიზები ინვაზიის გარეშე - 1178.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდებოდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებებსა და პირველად ჯანდაცვებს ვაქცინაციისათვის გადაეცათ: 2460 დოზა ბცჟ, 720 დოზა ჰეპატიტი ბ, 2787 - ჰექსა, 2751 - ტეტრა, 1660 - ტდ, 2400 - წწყ , 1606 - როტა, 2774 - პნევმო და 886 დოზა აპვ ვაქცინა. ვაქცინების მიწოდება ამცრელი კაბინეტებისთვის ,,ცივი ჯაჭვი''-ს პრინციპის დაცვით იყო დროული.

2024 წლის 1 ოქტომბრიდან გრიპის სეზონის დადგომისთანავე აქტიურად დავიწყეთ სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მუნიციპალიტეტში. სულ წლის ბოლომდე გაიხარჯა 1723 დოზა ვაქცინა, აქედან სჯდ ცენტრში განხორციელდა 414 პირის აცრა.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგებლებთან; განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრებზე.

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში. სულ მონიტორინგი ჩატარდა 35 საჯარო სკოლაში, 32 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში და 31 სილამაზის სალონში. (48 შემთხვევაში მიეცათ გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად).

,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 248 ობიექტს (მ.შ სავაჭრო - 95, სასწავლო - 11, სამედიცინო - 19, სილამაზის სალონი - 35, საჯარო დაწესებულება - 4, საზოგადოებრივი ტრანსპორტი - 45, სასტუმრო - 9, სამასპინძლო დაწესებულება - 30). მონიტორინგის შედეგები მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებიდან დროულად მოხდა სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის გადაცემა. სისტემატიურად ხდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის შეხვედრები მოსახლეობასთან, მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს ვაწვდიდით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი